თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 15
—1916—

კვირა, 10 აპრილი

ფასი 10 კ.

წელიწადი მეთხე

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ წელიწადი მეთხე. (იხ. მე-4 გვ.)

ქვეყანასა ზედა მშვიდობა
და კაცთა შორის სათნოება!

(„თეატრი და ცხოვრებისთვის“ საგანგებოდ დახატული სურათი ლ. გუდიაშვილის-მი

უკვე იბეჭდება

ეგელასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებმრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი

გამოსვლის ჟამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან 50 პკ.

ხელის მოწერა მიიღება: ეურ, „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба Іос. Имедашвили.

1916 მილოცვა ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით

ფელიეტონ მეოთხე

„თეატრი და ცხოვრება“

ფლიუტრად ჩ მან. ნახ. ფლ. 3 მან.

ფელიეტონ გამოცემისა მეოთხე

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში— 2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის ბატარ. ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილი**

„ეროვნული ენა“ 50 ტ. ... 80 ... ...

№ 15

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი"ს სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი"ს სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" Іос Имедашвили

№ 15 ᲥᲕᲘᲠᲐ, 10 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ 1916 Წ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲙᲘ

ᲥᲐᲛᲥᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ,

რომ თანახმად ბანკის დამფუძნებელთა და აქციონერთა დადგენილებისა, ყველ ააქციონერი, (ვისაც შემოტანილი აქვს პირველი გადასახადი აქციის 10 პროცენტი ე. ი. თითო აქციაზე 25 მანეთი),

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ შემოიტანოს მეორე ხვედრი გადასახადი აქციის 40 პროცენტი ე. ი. თითო აქციაზე 100 (ასი) მანეთი ᲐᲛᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 10—20 ᲛᲐᲘᲡᲐᲛᲓᲘᲡ.

ხელის მოწერა და ფულის შემოტანა მოწყობილი იქნება იმავე წესით და იმავ ადგილებში, როგორც პირველი ხვედრი ფულის შემოტანის დროს იყო. ოც მაისის შემდეგ ფულების მიღება შეწყდება. დაწვრილებითი ცნობები ცალკე იქნება გამოცხადებული.

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, № 6 საერთიერთო სამეურნეო ბანკის სადგომში.

10 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ძალა და სათნოება

ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, უთქვამთ, და მეც საღღეისო წერილს საღღგომო მოლოცვით დავიწყებ—

— ქრისტე აღსდგა!—

. . . . . .

ეს მეორე ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐᲐ, მთელი მოწინავე კაცობრიობის შვილთა სისხლით შეღებილი... ეს მეორე ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐᲐ, რომ მუშა-მშრომელი, მხვნელ-მთესველი მშობელ კერას მოსწყვიტეს და შორეულ გზას გაუყენეს ძმათა სისხლის საღვრელად .. ეს მეორე ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐᲐ, რომ სათნოება გაჰქრა და უხეში, დაუნდობელი ძალა ჰსცელავს მრავალ ათასეულთა ნორჩ სიცოცხლეს...

ეს მეორე ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐᲐ, რომ საღღგომო ბატკანივით უმანკო ჩვენი სამშობლოც აღღგომის კვერცხივით იღებება.

გმირულად დაემხო მოწინავე დემოკრატიის ბუდე—ბელგია, მოისრისა არა ნაკლებ გმირულად მებრძოლი სერბია, განიწირა მთაშვეთი და სხ.

იუდამ ამბორი უყო მაცხოვარსა და იგი ჯვარს აცვეს...

თითქო მსოფლიო ვეშაპთ პირი შეუკრავთ, მოსპონ და მოსრისონ პატარა ერნი...

თითქო ყველა ქვეყნის მტარვალნი 'მეფიცულან, რომ დაამხონ დემოკრატია და მისი საუკეთესო მისწრაფებანი ფეხქვეშ გათელონ!..

მთელი ევროპა და აზიის დიდი ნაწილი თვალუწვდენ სისხლის ზღვად გადიქცა და შიგ

ინთქმება კაცობრიობის საუკუნოებით დაგროვილი გონებრივი თუ ნივთიერი ავლა-დიდება...

ჭეშმარიტად, ბედნიერი იქნება ვინც ამ ცეცხლიდან უვნებელი გამოვა.

ასეთ დროს გმართებს, მამულო ჩემო, სულიერი ძალ-ღონის მოკრება, შორსგამჭვრეტელობა, რომ გამარჯვებული თუ არა, დამარცხებული მაინც არ გამოხვიდე ამ საერთაშორისო ორომტრიალიდან, რომელშიაც ეგოდენ გოლიათურ სიმამაცით მონაწილეობ...

მუდამ სათნო იყავი, სხვათა შემწე და სათავისოზე კი ნაკლებ ზრუნავდი...

დროა თავის თავზედაც იზრუნო, დაუფიქრდე—რა ხარ და რა უნდა იყო...

იყავ სათნო, მაგრამ საკუთარი ძალაც შეჰქმენი, თუ გინდა კაცობრიობის სრულუფლებიანი, აშკარა წევრი შეიქმნე და მუდამ სხვის მაჩანჩალა არ იყო..

კაცობრიობა ბევრჯელ ყოფილა გონებადაბნეული, თვალზე ლიბრ-გადაკრული, მაგრამ მის ცხოვრებაში ბოლოს მაინც მზეს ამოუკაშკაშნია; აგრედვე ჩვენს სამშობლოსაც არა ერთი და ორი ასეული სისხლოვანი აღდგომა გასთენებია, მაგრამ დღემდე მოუღწევია; კვლავაც გვწამდეს, რომ ამ დუხჭირ დროსაც გადავრჩებით და ბრწყინვალე აღდგომა ჩვენც გაგვითენდება, რასაც გულწრფელად გილოცავ, ჩემო ძვირფასო მკითხველო-მეგობარო, და გისურვებ შენც შესწრებოდე ამ დღის მომავალ ბრწყინვალე აღდგომას.

უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან

IV

საქართველო აჭრელებულია სხვა და სხვა ერის ნაწილებით. აქ ჩასახლებული არიან სომხები, ოსები, ებრაელები, გერმნები და სხვ.

ტერიტორიალური ავტონომია გაბატონებს ქართველ ერს და ის დაუწყებს დაჩაგვრასა და შევიწროებას სხვებს და ეროვნული განწყობილება დამშვიდების მაგიერათ უფრო გამწვავდებაო.

მე არ უარვყოფ ამ გვარი მოვლენის შესაძლებლობას. ამისათვის სხვა ერთა ნაწილების ცხოვრებაც ისე უნდა მოეწყოს, რომ ჩვენ მათთან სადაო არა გვქონდეს რა.

ნუ დავივიწყებთ, რომ მაშინ ქართველი ერის ბედიღბლის მესვეური დემოკრატია იქნება: ის არ იქნება წინააღმდეგი, ჩამოსახლებულ ერებს მიეცეს სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა მათს შინაურს ცხოვრებაში და ეროვნული ურთიერთობის გამწვავებას მაშინ არ ექნება ალაგი, თუკი შემოხიზნულები არ მოინდომებენ მას, რაც მათ არ ეკუთვნისთ.

ავიღოთ უბრალო მაგალითი:

სპარსეთში—სპარსთა მიწა-წყალზე ბლომათ არიან ქართველები, აგრეთვე ოსმალეთში—ოსმალთა მიწა-წყალზე.

რა უნდა ვთქვათ ჩვენ, რომ ჩვენმა სპარსელმა და ოსმალელმა თანამოძმეებმა სპარსეთში და ოსმალეთში თავისთვის ტერიტორიალური ავტონომია მოითხოვონ?

მე პირველი ვიტყოდი, რომ ამ გვარი მოთხოვნილება სპარსელი და ოსმალეთის ქართველების მიერ უსამართლობა და უსაფუძვლო არის მეთქი. სპარსეთისა და ოსმალეთის მიწა-წყალი ეკუთვნის სპარსელებსა და ოსმალებს. მაშასადამე შიგ ჩასახლებულ ქართველებს ეკუთვნით კულტურული ავტონომია და არა ტერიტორიალური.

იგივე უნდა ითქვას იმ სხვა და სხვა ერთა ნაწილებზეც, რომლებიც საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებულან.

რაც უნდა იყოს, რა მოხდება მომავალში, როგორ მოექცევა ქართველი დემოკრატია ჩვენში ჩამოსახლებულ ერებს, მოინდომებს თუ არა მათ შევიწროებას, ეს მომავლის საკითხია.

ხოლო სომხის მსხვილი ბურჟუაზია ანუ სოლოლაკელები რომ წყალს ამღვრევენ და ეროვნულ ურთიერთობას საშინლად ამწვავებენ, ეს კი დღევანდელი დღის საკითხია და დიდი საკითხიც.

სოლოლაკელები საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიის დაუძინებელი მტრები არიან.

მწერალი დავით კლდიაშვილი
ავადმყოფობის გამო

რატომ?

იმიტომ რომ ეშინიათ, თუ ქართველმა ხალხმა საწადელს მიაღწია, მაშინ ეროვნული მტრობა გაძლიერდებაო.

მერე ამ მტრობას ვინ აღვივებს ყველაზე უფრო, თუ არა სოლოლაკელები?

არა, სოლოლაკელებს არ უნდათ ქართველი ერის მოღონიერება და ქართველი დემოკრატია ვალდებულია, ამ გარემოებას კარგად ჩაუკვირდეს.

ბედმა და უბედობამ კავკასიის მთავარ ერებს: თათრებს, ქართველებსა და სომხებს ერთად, მეზობლად გვარგუნა ცხოვრება.

ვერც ერთი მათგანი ვერ ააშენებს თავის ბედნიერებას მეორის უბედურებაზე,—ან ყველა ბედნიერი უნდა იყოს, ან ყველა უბედური. საერთო ბედნიერების მოსაპოებლათ საჭიროა თანხმობა, მეგობრული განწყობილება და ყველასათვის საერთო საქმეების შეთანხმებული ძალღონით წარმოება.

ამას ითხოვს ინტერესი კავკასიის ყველა ერთა დემოკრატიისა.

ამ ინტერესს წინ ეღობება და თანხმობას. ერთათ მოქმედებას შეუძლებლათ ხდის სომხის მსხვილი ბურჟუაზია.

ჯერ მოკლეთ გავითვალისწინოთ მისი პოლიტიკა.

ისეთ ქვეყანაში, რომელიც დასახლებულია სხვა და სხვა ერებით, კერძო პოლიტიკის წარმოება სახიფათო გზაა მაშინაც კი, როცა ამ პოლიტიკას სხვებისათვის ზარალი არ მოაქვს. ხოლო თუ ეს პოლიტიკა სხვებისათვის საზარალოა, მაშინ ამ გვარი მიმართულება პირდაპირ დამღუპველია.

სომხის მსხვილი ბურჟუაზია არც თათრებს ეთვისება, არც ქართველობას; ის აწარმოებს თავის პირად პოლიტიკას, აწარმოებს საიდუმლოთ, დაფარულათ, ნაძალევათ და შედეგი ყოველთვის საზარალო გამოდის სხვებისათვის.

იცხოვრე და სხვასაც მიეცი საშუალება ცხოვრებისა,—აი. ერთად ერთი სამართლიანი გზა კავკასიის ყველა ერებისათვის.

— ოღონდ მე ვიცხოვრო და სხვას რას დავეძებ, რა მენაღვლებაო?—აი როგორ გზას ადგია სომხის მსხვილი ბურჟუაზია. ამ გვარ მიმართულებას შედეგათ ის მოჰყვა, რომ სომხის მსხვილმა ბურჟუაზიამ გადაჰკიდა ერთი მეორეს თათრისა და სომხის ხალხი და ახლა ამგვარსავე მტრობას სთესავს ქართველებსა და სომხებს შუა.

სომხისა და ქართველ დემოკრატიის შორის ერთობა, თანხმობა ფრიად საჭიროა, აუცილებელია ორივე ერთა კეთილდღეობისათვის, მაგრამ ამ ერთობას, ამ თანხმობას ძირს უთხრის და ჰღუპავს სოლოლაკი.

შეუძლია თუ არა სომხის მსხვილ ბურჟუაზიას რომ სხვანაირათ მოიქცეს, სხვა გზას დაადგეს?

არა, არ შეუძლია.

ნაციონალიზმი ბურჟუაზიის დროშაა, ამ დროშას ის თავისის ნებით ხელიდან არ გაუშვებს.

სომხის მსხვილ ბურჟუაზიას ჩვენში განსაკუთრებულ პირობებში უხდება მუშაობა.

თავისი ნამდვილი, ბუნებრივი და ისტორიული სამშობლო მან დაჰკარგა, მიატოვა, სამშობლო კი მისთვის ერთგვარი ბაზარია და ამიტომ საჭიროა, აუცილებელი.

ამის გამო ერთის მხრით ის ცდილობს, მოიპოვოს დაკარგული ე. ი. აღადგინოს სომხეთი, თუნდაც ტერიტორიალურ-ავტონომიური სახით, მეორეს მხრით ის ცდილობს, მო-

იპოვოს, შექმნას თავისი საკუთარი სამშობლო იქ, სადაც ის ჩასახლებულა და მოქმედობს ე, ი. ჩვენში—საქართველოში.

და რადგანაც საქართველოს მიწა-წყალი ქართველებს ეკუთვნის, სომხის მსხვილი ბურჟუაზია ძალაუნებურათ უნდა ეცადოს, ქართველი ერი განდევნოს ქალაქიდან და სოფლიდან და მისი ალაგი თვითონ დაიკავოს.

სომხის მსხვილი ბურჟუაზია და მისი დამცველი გაზეთები ამგვარ მიმართულებას უწოდებენ ეკონომიურ ბრძოლას. ეკონომიურ ბრძოლაში ყოველთვის იმარჯვებს ღონიერი და ქართველები ამ ბუნებრივ კანონს თურმე უნდა შეურიგდენ.

ნამდვილათ კი ეკონომიურს სამოსელში გახვეულია პირწავარდნილი ეროვნული ბრძოლა.

როდესაც სომხის მსხვილი ბურჟუაზია იბრძვის სომხეთის ავტონომიის მოსაპოებლათ, ქართველი ერის დემოკრატიის სრული თანაგრძნობა ამ კითხვაში მისკენ უნდა იყოს.

მთელი სომხის ერი იმავე ტაფაში იწვის, როგორშიაც ჩვენ და დეე ჩ ენსავით დაჩაგრულებმა და გულდამწვრებმა აღადგინონ და ააყვავონ თავისი სამშობლო, ჩვენი სული და გული მათკენ იქნება.

ხოლო როდესაც სომხის მსხვილი ბურჟუაზია ჩვენში ვიწრო ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს და ჩვენს სამშობლოში თავისი საკუთარი სამშობლოს მოპოებას ცდილობს, მთელი ქართველი ერი და ყველაზედ უპირველესათ კი ქართველი დემოკრატია ვალდებულია მთელის თავის ძალღონით და ყოველგვარი ადამიანური საშუალებით ამ ქართველი ერის დამღუპველ და ჩვენ შორის მტრობა-სიძულვილის მთესველ მიმართულებას შეებრძოლოს.

ამ მიზნის მისაღწევათ, ჩვენ შორის თანხმობისა და ერთობის გასამტკიცებლათ ერთ-ერთ მთავარ საშუალებას ავტონომიური წყობილების მოპოება წარმოადგენს ჩვენთვისაც და მათთვისაც.

ი. ჯაბადარი

ორი სურათი

(ნაწყვეტები ესკიზიდან „იუდა“)

იესო

ღამე იყო ბნელი...
ბნელი და ნისლიანი,
ცაზე მთვარე არ სჩანდა...
მწარედ ღმუოდა ქარი...
ტანჯულს ფიქრებს წაეღო
სამყარო ნაღვლიანი,—
სამყარო ნაღვლიანი,
ფერმილეული, მჭკნარი...
ურიასტანის არეს
ეძინა ტკბილს ფიქრებში,—
იერუსალიმი კი ზოგჯერ
ჰკვნესდა, გმინავდა...
შორს, სადღაც, ცამდე აწვდილ
ტყიან გევალის მთებში,
დაუღალავი სიო ჰქროდა,
მიმოფრინავდა...
კედრონი მთების შვილი
გამალებით რბიოდა,
და დაბლა ღელეებში
ზლაზვნით იკლაკნებოდა...
სწვიმდა, ტიტველ ხეებზე,
ცას ცრემლები ცვიოდა,
ცვიოდა... მძივებივით
შტოებს ეკიდებოდა...
და ზეთის ხილის მთაზე,
მწარედ დაღონებული,
იესო მშობელს მხარეს
ტანჯვით გადაჰყურებდა...
კაეშნით შეპყრობილი,—
სულით დაობლებული,
მთის პიტალო ცივს ლოდებს,—
ცივს ცრემლებს აპკურებდა!..

გოლგოთა

ღამე იყო ბნელი..
ბნელი და ნისლიანი...
და ნისლი მგლოვიარე
მიწას ცრემლს აპკურებდა..
ეძინა ურიასტანს...
გოლგოთა ნაღვლიანი—
მძინარ იერუსალიმს
სევდით გადაჰყურებდა...

.. და ზედ ჯვარი მოსჩანდა...
ჯვარზედ უსულო გვამი
თითქოს ისევ ფიქრობდა...
ფიქრობდა რაღაცაზე...
ყოფნის ამაოება ..
სიცოცხლის გე'ლი.. შხამი...
შავად იხატებოდა
ბინდით მოფენილ ცაზე...
ტიროდა ღვთის მშობელი...
ცრემლებს ღვრიდა ცხარეს ...
ტიროდა... ქვითინებდა,
იწეწდა კავ-დალალებს...
ეძინა მიდუმებულს
ირგვლივ არე-მარესა
და ცა, ბნელით მოცული,
ოხვრით ხუჭავდა თვალებს...
ბნელოდა... არც ვარსკვლავი...
და არც მოსჩანდა მთვარე...
უიმედოს, მწუხარეს
მიწას ეძინებოდა...
მხოლოდ გოლგოთის მთიდან
ქვითინი მწველი, მწარე,
დაყრუებულს სამყაროს
ობლად ეფინებოდა ..

ილ. მოსაშვილი

—

ხაალდგომო

მაშვრალთა ძენო და ტვირთმძიმენო
გესმათ თუ არა სიტყვა საზარი,
რომ ბოროტებამ უკვე იმსხვერპლა
თქვენთვის ტანჯული თქვენი მოძღვარი?!
შეიპყრეს კერპთა თაყვანისმცემელთ

ფარისევლებმა გაასამართლეს
ჭეშმარიტების მღაღადებელი...
ბნელი აკლდამის ცივმა კედლებმე
დააჩიავეს მის საღი გული,
დიდხანს ატარა წამების ჯვარი,
იმის ზიდვაში აღმოხდა სული,
დღეს იგი აღსდგა, აცისკროვანდა,
ნათლით შემოსა ღამე შავ-ბნელი,—
მაშვრალთ შვილების მესაიდუმლემ,
სიკვდილით ჰპოვა სიცოცხლე გრძელი.

გ. შინატეხელი

—

გმირი — კაპიტანი
იოსებ დავითის ძე ყანჩაველი
ლვოვის იქით, სოფელ კორჟენიცთან გმირულ ბრძოლაში მოკლული 1915 წ. 22 მაისს.

მითხარით ერთი!

„ქრისტე აღსდგაო, ქრისტე აღსდგაო!“ —
დღეს ეს სიტყვები ყურს ჩამესმიან,
და შავ ცხოვრებით დატანჯულ გულზე
შხამის ისარად დამესვებიან...
მწარ სინამდვილეს გახედავს თვალნი
და ცხარე ცრემლით აცრემლდებიან!..
და ნუ თუ აღსდგა მშვენიერება,
სიმართლის ძალა, სიმართლის ღმერთი?
ნუ თუ დამყარდა ბედნიერება,
გაჰქრა წყვდიადი, გაჰქრა ბნელეთი? —
ოჰ, ვის მოვსთხოვო წრფელი პასუხი,
მითხარით ერთი, მითხარით ერთი!..

ხ. ვარდოშვილი

—

მკვდრეთით აღსდგება...

გამხმარს, გადამწვარს ბუჩქნარს, ტყე-შინდორს
ცვარ-ნამი დაჰკრავს, გაიფურჩქნება,
სინათლე დახევს სიბნელის ფარდას
და ქვეყნის მხსნელიც მკვდრეთით აღსდგება.

*

ცა პირს მოიწმენდს, შავსა ღრუბლებში
დაიმალება ფარისეველი,
მზე გაიცინებს, ტანჯულთ ახარებს, —
ამას გვიმოწმებს ნაზარეველი...

ვასო როინიშვილი

—

ვაი თქვენ

შუა-ღამეა!—ნაუ! ძინ! ნაუ!..—ისმის ხმა ზარის, უხმობს ტვირთ-მძიმეთ, სამსხვერპლოსთან საღაღადისოდ: მოსაგონებლად ჯვარ-ცმულისა, სათნო მოძღვარის, გულს აღსაბეჭდად, საფსალმუნოდ, სამარადისოდ.

*

ბნელა!.. საფლავზე მაგდალინა იცრემლვის, სტირის, ბარაბა ჰხაროს ქვეყანა, ოხრავს, ცეცხლი ედება; და იერემია ჰგოდებს, მოსთქვამ. სისხლი კვლავ იღვრის, ნეტავ როდემდის?! მაგრამ.. ჩუ ვგონებ! უკვე თენდება!.

*

ვაი თქვენ! ანნა, კაიაფა, ფარისეველნო! და შენც პირმოთნე, მოღალატე სინედრიონო! დღენი განკითხვის ახლოვდება, ჰოი მლიქვნელნო! შენი-კი... მალე აღდგენისა, ტურფა სიონო! .

ს. ერთაწმინდელი

***

... და ჯვარს აცვეს მხოლოდ სხეული! მის დიად სულს კი, ვით მზის სხვითა ნათლით მოსილსა, ვერ შეეხო ფარისეველთა ბნელით მოცული და შერყვნილი გონება. მისი რწმენა, სულის სიმშვიდე მაშინაც კი არ შერყეულა, როს ჯიღას მაგიერ ეკლის გვირგვინით შუბლი შეუმკეს!

ჭეშმარიტად აღსდგა იგი!

და თვისი სიკვდილით სიკვდილი სთრგუნა, რათა სიყვარული, კაცთმოყვარეობა და სათნოება შთაებერა ადამის ძეთა ღვარძლიან გულში....

აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მოეფინა დიდებული მოძღვრის სახელი!

მისმა მოძღვრებამ შესძრა ყოველი.

შიშით შეპყრობილ ამა ქვეყნის ძლიერთა და ფარისეველთ თვალი ველარ გაუსწორეს მისი გონების შარვანდედით მოსილ სხივთა და....

დაკანონეს სიკვდილით დასჯა!

ოჰ, უმეცარნი!

მათ არ შეეძლოთ მოესაზრენათ, რომ ღმერთ-კაცის სულსა ვერას ავნებდა მათი ტლანქი ძალა, ვერ მისწვდებოდა ქვენაგრძნობით შელახული გონება...,

და ჯვარს აცვეს მხოლოდ სხეული!

პოდპ. ამბ. მათ. ძე ალნიაშვილი

კავკასიის ასპარეზზე მამაცურ ბრძოლაში მოკლული 20 მარტს 1916 წ., დაბადებიდან 24 წლისა.

მოსისხლე მტრები

(დასურათებული ლ. გუდიშვილის მიერა)

მზემ ყური ამოჰყო, შეწითლდა მორცხვ გოგონასავით და ვარდის ფრად შეახამა დილის ქულა ღრუბლები. ვიშ, ამ დილასო, ყოველ სულდგმულს ამოჰხდა გულის სიღრმიდან!.. მთელ არემარესაც მკრთალი ალის ფერი გადაჰკრავდა, თითქოს დედამიწა ვარდის ფერ მარმაშით შებურულიყოს... აქა-იქ სისხლის ტბორები იდგა... ირგვლივ ადამიანის ხორცის არა სასიამოვნო სუნი ტრიალებდა... გარშემოს მთა და მინდორი, ტყე და ველი სისხლ-ფერ ორთქლით ქშინავდა...

წინა დღეს ბევრს ჩაესვენა უკანასკნელად მოღიმარი მზე; უკუნეთს ჩაჰბარდა მათი სახსენებელი. მათ სისხლის ანაორთქლში დღეს უკანასკნელად ცელქობდა მზის უმანკო სხივები და ცას მიჰქონდა მკვდართა წმინდა სისხლის ნაწილები... გუშინდელ ელეტის ველს დაჰყურებდა მუდამ მოღიმარი ცხრა თვალა მზე.

აგერ, შორს გაისმა საყვირის ხმა. იგი ხმა გაიმეორეს ყველა ჯარის ნაწილის მებუ-

კეთ...—მოემზადეთ, გვეუბნებოდა საკრავების ეს არევ-დარეული, მკვეთრი ხმები... ნუ თუ ისევ წინ საბრძოლველად!.. კვლავ ბრძოლის მ სალოდნელი შედეგები ტანში ერუანტელს ჰგვრიდა ყველა ჩვენგანს... უაზროდ შევყურებდით ერთმანეთს... ანგარიშ-მიუცემლად ვასრულებდით ყოველგვარ გადმოსროლილ ბრძანებას... გულში კი ერთი მბეჟუტავი იმედი არ გვიქრებოდა—იქნებ აღარ... იქნებ. შინისკენ პირი!..

... აგერ მოჰქრის ცხენით უფროსი, მას რამოდენიმე ცხენოსანი ახლავს. ყველამ იქ თ ვქენით პირი. სმენად გადავიქეცით, რაღაც სასურველის გაგონების მოლოდინ თ მოცულნი.

დღესაც ისე, როგორც ყოველთვის ამ ომიანობის ხანაში, უფროსმა გაგიჟმაჟებული ცხენი ერთბაშად შეაყენა ჩვენ გაშტერებულთა წინაშე, ხელი გაიშვირა წინ მთებისკენ და გვიბრძანა:

— აგერ, აი მთების იქით არის მტერი, ჩემო დევ-გმირებო!.. გუშინდელი დღე დავაყენოთ მას და კვლავ ვაწყევლინოთ დაბადების დღე!.. წინ, ჩემო შეუპოვარო მეომრებო! გამარჯვება, საბოლოო გამარჯვება უსათუოდ ჩვენ ხელთ იქნება!..

ცივი წყალი გადაგვესხა. სუ მუდამ კოკა წყალს ხომ ვერ ზიდავს... ბევრს გულში რაღაც ჩ გვწყდა, დ ბნეულის თვალებით გადავხედეთ ერთმანეთს ..

სიხლისგან ლიჟყიან მიწას, ჯერეთ აუკრეფავ მკვდრებით მოფენილ მინდორს გავ-

ᲛᲝᲚᲘᲙᲣᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ

დრამა 5 მოქ. და 9 სურ. ეპიდოგით ვ. გარრიკისა, გადმოკეთებული ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანიდან.

Настоящая пьеса, подъ заглавіемъ „По скользкому пути“ въ 5 дѣйст. и 9 карт. В. Гаррика, разрѣшена Намѣстникомъ Его Императорскаго Величества на Кавказѣ, для представленія на сценахъ края. (Отзывъ канцеляріи за № 19639--195). 24 іюля 1915 г. гор. Тифлисъ.

Предсѣдатель комитета **В. Колобовъ.**

Секретарь **Ал. Гусьевъ.**

ᲛᲝᲛᲫᲐᲛᲔᲓᲜᲘ ᲞᲘᲠᲜᲘ:

თავ. იასონ რამიშვილი დენერალ-მაიორი

კნ. მაკინე ზაქარიას ასული, იასონის მეუღლე.

კნ. გაიანე ზაქარიას ასული, მდიდარ მემამულ როსტომის მეუღლე

თ. ოქრო ზაქარიას ძე სარდიონიშვილი.

თ. ტიტიკო ზაქარიას ძე სარდიონიშვილი.

კნ. თეკლე ზურაბიშვილისა, ქვრივი.

ქეთინო (
მაშო (ამისი შვილები.

თ. პალიკო დიდებაშვილი.

მარიკა, ამისი და.

თ. შაქრო დიდებულიძე.

თ. არჩილ რამიშვილი.

სტუმრები, მოსამსახურენი.

(მე-4-ე მოქ. (7 სურ.) და მე-5-ე მოქ. (9 სურ.) თბილისში დანარჩენი — სოფლად)

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲡᲣᲠᲐᲗᲘ I

თ. როსტომ ზურაბიშვილის ბაღი. სცენის სიღრმეში მარცხნივ ერთ სართულიანი კოხტა ქვითკირის სასახლე, მშვენიერ მოაჯირიანი კოხტა გრძელი აივანით. ხუთ საფეხურიანი კიბე ეშვება ძირს ბაღში. გარშემო ყველგან ვარდის ბუჩქები და ხვეული მცენარეებია ასული. წინ სცენის შუა გულას ოთხ-კუთხიანი აუზია. აუზში ამოყვანილია გედის ქანდაკება, რომლის პირიდან ამოსჩქეფს წყალი შადრევანად და ავსებს აუზს ქარჯვნივ სიღრმეში მშვენიერი ფართო, ტოტებ-გაშლილი კაკლის ხე. ავანსცენასთან მარჯვნივ და მარცხნივ ორი პატარა მაგიდა, ჩალის სკამებ შემომწკრივებული. მარცხნივ აივანთან ახლო სდგას ასეთივე მაგიდა-სკამები. ხეებზე გაბმულია მავთული, ზედ გაჩაღებულია ფარნები. ოთახიდან მოისმის ლოტოს მოთამაშეთა ხმაურობა. სტუმრებს ერთ ჯგუფს აივანზე მაგიდა გაუშლიათ და ქაღალდს თამაშობენ. ძირს, ბაღში, აივანთან მარცხნივ ზის კნ. მაკინე რამიშვილისა. მომხიბლავად არის მოართული და ნარდს ეთამაშება თ. არჩილ რამიშვილს. აივანსცენასთან ერთ მხარეს მაგიდასთან სხედან მაშო ზურაბიშვილი და თ. შაქრო დიდებულიძე, მეორე მხარეს—მარიკა დიდებაშვილი და თ. ოქრო სარდიონიშვილი, ერთმანეთს ართობენ ლაპარაკით ზაფხულის წყნარი მთვარიანი ღამეა. ათი საათი იქნება.

I

მაშო, მარიკა, ოქრო და **შაქრო.**

მაშო. (შაქროს) დანაპირები არ დაგავიწყდეთ, კნიაზო!

ცდით გულდაწყვეტილნი. რაღაცნაირი მოვალეობა, ფიცი... მიგვერეკებოდა საბედისწერო მტრის პოზიციისკენ.

ცხენოსანი თქარა-თქურით გასცდა ჩვენს ბანაკს საყვირის ხმაზე წინ. მოეწყო საზვერავად და მალე თვალს მიეფარა, რათა შეექმნას მთელს ლაშქარს თვალად და ყურად. ქვეითა ჯარი ცხენოსანს მიჰყვა, ზარბაზნები შუაზე მოექცა რაზმებს და მთელი მინდორი ამოძრავდა...

მთის კალთებით ვუახლოვდებოდით მტერს; წინ ჩვენი მზვერავები გვიკვლევდენ გზას. ჯერედ უჩინარნი ვიყავით მისთვის და ამიტომ არა ისმოდა რა იქიდან...

აგერ მგლურის ძუგძუგით მზვერავები თითოოობლივ ბრუნდებიან უფროსისაკენ, მოახსენეს რაღაცა და ისევ გასწიეს სირბილით წინ. აგერ ცხენოსანი მზვერავები თავგადაგლეჯილნი მოაჭენებენ ცხენებს ყველა დანიშნულებისამებრ, თავის უფროსთან მიდის, ქუდთან ხელს მიდებით რაღასაც მოახსენებს, გადასცემს პაწია ბარათებს და პასუხის მიღებისა თანავე ისევ გაჰქუსლავს მტრისკენ.

— ბიჭებო, ახლა კი მტერი ალბად ახლოა არის!..

— გაუფრთხილდეთ თავებს..—ისმის ხმები.

მეზობლად მდგომი მესხეთელი კოცნით მემშვიდობება... „ვინ იცის ვნახამთ ერთმანეთსო!..“ ყველას მოუთმენლობა გვეტყობა, ბედზეა ჩვენი საქმე მიგდებული... მივიწევთ წინ, მივიწევთ თითქო საზეიმო დილა გველოდეს იქ, წინ, ბურუსში გახვეულ მწვერ-

---

შაქრო. დანაპირების დავიწყება შეუძლებელია, კნიაზნავ, მაგრამ ხვალ არ შეიძლება მისი შესრულება!

მაშო. რატომ? თუ გულს უნდა, ყველა შესაძლოა. (ვარდს უნოსავს)

შაქ. ნუ გავიწყდებათ, კნიაზნავ, რომ ხშირად გულს არ ეთანხმება გარემოება.

მაშო. (მტირე ბაუზა) ამისთანა მყუდრო და მთვარიან ღამეში ცხენებით სეირნობა საოიამოვნოა!

მარიკა. ოღონდაც, ოღონდაც!..

ოქრო. (წამოდგება. ზრდილობიანად თავს დაუკრავს მაშოს. მისი მიხვრა-მოხვრა წმინდა არისტოკრატულია. ნარნარის ხმით მიმართავს) ღამე?! თქვენ ბრძანეთ დილით და რადგან ხვალ დილით მაკინე სადარბაზოდ აპირებს წასვლას, ყოვლად შეუძლებელი იყო ასრულება, და თუ საღამოზე მიბრძანებთ, დიდის სიამოვნებით, მზად გახლავართ!

მარ. (წამოიძახებს) ეე!.. უყურეთ იმასა! (თითს იშვერს ცისკენ)

ოქრო. (მაშოს დაუწყებს დაპარაკს)

შაქ. იქით რას გვითითებთ? თქვენგან ნაჩვენები ბუნების უსულო სურათი ცოტად მოქმედობს ჩემზე, მეტადრე მაშინ, როდესაც თვალწინ, უფრო მისაწვდენად ჰკრთებიან მწველი მომხიბლველი ნაპერწკლები!

მარ. როგორც გეტყობათ, არა ხართ მგოსანი, ანუ მხატვარი. პირველი ამ შემთხვევის საგულისხმიერო ლექსით დიმღერებდა, მერე კი ზოლად აღნიშნავდა თავის სურათზე! (ოქრო და მაშო ბადში დასეირნობენ)

შაქ. თუ გგონიათ, რო მეც აგრე არ ვიქცევი, სცდებით, კნიაზნავ! მგოსანი ხშირად წარმოსთქვამს ხოლმე ქება-დიდებას მარტო ლექსის სიმშვენიერისათვის, მხატვარი, თუმცა ზოლად აღნიშნავს ქაღალდზე, მაინც საკმაოა შეეხოს მას რომელიმე საგანი და წაიშალოს. მე კი ღვთიურ ნაპერწკლებს ვიბეჭდავ სიცოცხლით სავსე და გრძნობით აძგერებულ გულში. (დაბალის ხმით დასამთავრებს ამ სიტუაციებს)

მარ. (თითქოს მიხვდა შაქრის გრძნობას და შეაჩერებს) კმარა, კნიაზო, ამაზე ლაპარაკი! ახლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ!

შაქ. რაზედაც გნებავთ ჩამომიგდეთ ლაპარაკი და მე უკან არ ჩამოგრჩებით!

მარ. რასაკვირველია! მაშ რა იურისტი იქნებით, თუ პასუხსაც ვერ მომიგებთ? (სეირნობის დროს მაშო დაელაპარაკება ოქროს)

მაშო. მაინც რას აპირებთ, კნიაზო ოქრო! სამსახურში შეხვალთ თუ არა?

ოქრო. წარმოიდგინეთ, რომ არა!

მარ. (ჩაერევა დაპარაკში) არა?! მაშ სოფლად ხომ არ იცხოვრებთ?

ოქრო. დიდ, სოფელში ვაპირებ დარჩენას.

ვალებზე... ამ დროს გინდა გულის ჩქროლა შეიკავო, მაგრამ რაღაც გამოუცნობის მოლოდინი შენდა უნებლიეთ გიტანს და ტანს გითრთოლებს... თოფს სახელურში მაგრად ჰბღუჭამ, თითქო ვიღაცა წართმევს გემუქრებოდეს ამ ერთად-ერთ მხსნელის, ?ფარველის და ნამუსის მომხდელის ამხანაგისას.

ზარბაზნები აქეთ-იქით მაღლობებისკენ გაეშურენ. მალე მათი მგრგვინავი და გამამხნევებელი სროლა გაისმა. პასუხი გასცეს მტრისაებმაც ჩვენს თავებზე, შუილით და სისინით, თითქოს არწივმა დაჰქროლა მსხვეპლსო, მიმოჰქრის ყუმბარა ყუმბარაზე, მაღალ რკალებს აკეთებენ ამ სრბოლის დროს, მაგრამ პირველში ჩვენ მაინც უნებლიედ ვიღუნებით... შემდეგ და შემდეგ გული გაკაჟდა,

მაშო. ვერ წარმომიდგენია სოფელში რა უნდა გააკეთოს ადამიანმა!

მარ. მით უმეტეს იმისთანა სწავლით აღჭურვილმა, როგორც თქვენ!

ოქრო. რასა ბრძანებთ, კნიაზინავ! მაგაზე კარგი რა არი, რომ ადამიანმა სოფლად მოიკიდოს ფეხი. სოფლის ჰაერით ისუნთქოს, სოფელში იმოღვაწოს, მისი ჭირ-ვარამი გაიზიაროს და შეამსუბუქოს მძიმე უღელი, რომელიც ჩვენ საწყალ ხალხს კისერზედ აწევს! თუ ღონე აქვს და გონებაც შესწევს, ამაზე უკეთესი არა უნდარა. მხოლოდ აქ შეიძლება მშვიდად და წყნარად განვლო შენი ცხოვრება! აქ თავისუფლად გაშლი ფრთებს და განფანტავ იმ სიბნელეს, რომელიც ბურუსსავით გვახვევია გარშემო!

შაქ. ზევით, ოქრო, ზევით! რაც შეიძლება შენი აზრები, მისწრაფებანი ზეცას მიაკარ, საქმე მათ გაუწონე, თორე თუ ძირს ჩამოხვედი,—სული შეგიგუბდება, დასუსტდები თუ შენი ქვეყნისათვისა ფიქრობ, მაღლა—მაღლა ადი, რათა უფრო კარგა განიცადო მისი ჭაობი, რომ მოხერხებით შეიძლო ამ ჭაობის ამოშრობა, წალკოტად გარდაქცევა! (ამ დროს აივნიდან კადშოდგება კნ. კაიანე)

II

იგინივე და კნ. გაიანე

გაიანე ბატონებო, ვახშამს სად მიირთმევთ? ბაღში თუ სახლში?

შაქ. ჩვენთვის სულ ერთია, ბატონო, თქვენ დას მაკინესა ჰკითხეთ.

მაკინე. (ძვირფას ტანსაცმელშია კამოწყობილი. ნარდს ეთამაშება თავ. არჩილ რამიშვილს) დუშაში კამათელო!

თ. არჩილ. ვაშა, ვაშა! კნეინავ, ძაან ნარდი იყო, ძაან გამარჯვებაა! ან რა გასაკვირველია კამათლების მორბილება მაშინ, როცა თვით ცხოვრებაშიაც ყოველივე თქვენი ფერხთა მტვერია!

მაკ. ვითომ?! ეგ კარგია, თუ არა სცდებით! (მარჯოთი ინიაგებს)

გაიანე. (ჩამოვა ბაღში და დასთან მიეკ) მაკინე! ვახშამი სად გავაშლევინო?

მაკ. რასაკვირველია, აქა! ამ სიცხეში როგორ გავძლებთ? ლოტოს მოთამაშენი რაღას ამბობენ?

გაიანე. მათთვის სულ ერთია. იხვეწებიან, ოღონდ ორი-სამი ხელი კიდევ გვათამაშეთ, მერე თქვენი ნებაა საცა გინდათ იქ ვივახშმოთო!

მაკ. არ მესმის, რა სიამოვნება უნდა მიიღოს კაცმა ლოტოს თამაშში? (არჩილს) კნიაზო! ამისრულებთ სათხოვარს?

არჩ. დიდი სიამოვნებით, დედოფალო!

მაკ. სთხოვეთ თავად სოსიკოს ჩემს მაგივრად, რომ ერთი კიდევ იმღეროს, ისე-კი

ფიქრი თავის გადარჩენისა, შიშ-ძრწოლისა სადღაც ჩაიჩქლამა და განსაცდელის აუცილებლობა რაღაც სილაღეს გვძენს... თავი ჩალად გვიღირს ამ დროს...

— სამარ წლით მოეწყე...— გაისმა უფროსის ბრძანება, მისმა ხელქვეითებმა გაიმეორეს იგივე და წამს ჩვენი როტის ნახევარი მსროლელთა მწკრივად გაიფანტა, დანარჩენი მაშველ დაჯგუფულ ნაწილად დარჩა.

მივისწრაფით მტრისკენ... როგორც კი თვალი დაგვკრა მტერმა, გაისმა კანტი კუნტან თოფის სროლა... წავწექით, დავიწყეთ ჩვენც სროლა... პირველ კასროლასთანვე, თითქო ფარი აიყუდე წინო... გადავრბივართ ერთი ადგილიდან მეორეზე, ვუახლოვდებით მტერს... სულ უფრო მეტად და მეტად გააქვს თოფებს ტკრციალი, ზარბაზნებს გრიალი... ძნელია მეზობლის ხმის გაგება... მივდევართ, მივდევთ ერთი მეორეს... როგორც ცხვრის ფარა ქეჩს, ისე ჩვენ ერთ წინ წაწეულ მეომარს ვეწევით, თავის მოსატყუებლად პაწია თხრილებს ვიკეთებთ, წამს ვისვენებთ და ისევ წინ ვიწევთ: ზოგნი ფოფხით, ზოგნი წაღუნულნი და ზოგნი ამართულნი... ყოველ ნაბიჯზე გვეცლება გვერდზე მდგომნი, ამხანაგნი... მათ ადგილს ახლები იჭერენ... მივახლოვდით, მტრის თავები და თოფები მშვენივრად ირჩევა.. ანთებულ თვალებით ვუმზერთ ერთმანეთს... თვალებით ვჭამთ ერთმანეთს... სროლაა, სროლა ხშირი და ყურის დამყრუებელი ირგვლივ, ტყვიის მფრქვეველებიც ატკრციალებენ... იცვლება ჯარი, მაგრამ

მოახერხეთ, იქვე დარჩეს. რადგან რაც უფრო შორიდან მოისმის ხმა, მით უფრო ტკბილია!

არჩ. ამ წამსვე, გადავცემ თქვენს თხოვნას: (გადის)

(**ოქრო** და **მაშო** სახლში შევლენ, **შაქრო** და **მარიკო** კი ბაღიდან გავლენ)

გაიანე. მაკინე, ხომ არ დაიღალე? წამო ოთახში, პატარა ხანს წამოწექი, სანამ ვახშამი დამზადდებოდეს, თორემ მერე უფრო ვეღარ შესძლებ.

მაკინე. არა უშავსრა, მინდა ამ ხალხს ვუყურო! იცი რა კარგი იქნება, რომ ვახშამი აიმ (ანიშნებს) დიდ კაკლის ქვეშ გააშლევინო! ხეობიდან მშვენიერი ნიავი მოჰქრის!

გაიანე. მაშ კარგი! იქ გავაშლევინებ!

მაკ. ვერ ატყობ ჩვენს ოქროს, განა, რა ხალისიანად არის აქაურ საზოგადოებაში?

გაიანე. მაშ რისთვის არიან ეს თვალები?

მაკ. წარმოიდგინე, მარტო ოქროსთანა ზრდილ, ანგელოზს შეუძლიან აგრე თავის დაჭერა ამისთანა შეუფერებელ ხალხში. საცოდავებსა ჰგონიათ, მართლა სულით და გულით ჩვენი ტოლიაო. შეხედე ქალებს, მიაქციე ყურადღება რა რიგად ეწონებიან. საკვირველია, რა ხშირათ დაბრმავდება ხოლმე ადამიანი, რომ ვერა ხედავს ვერც თავის თავს და ვერც სხვასა!

გაიანე. რა გენაღვლება? ეგონოთ აგრე.. ოქრო მაგ დროს ჩინებულად გაატარებს, ბოლოს ხომ დარწმუნდებიან, რომ იმასა და მათ შორის დიდი ზღვა დევს!

მაკ. ოღონდაც! ენაცვალოს მაკინე ოქროს! ვინ არის მაგისი ბადალი, არამც თუ ამ სოფელში, თუნდ მთელ საქართველოში. შეხე, განო, უყურე მის მიხვრა—მოხვრას, იმის ლამაზს სახეს, ლაპარაკს, ყური დაუგდე მის ნარნარ ხმას!

გაიანე. მე წავალ და ვუბრძანებ, ვახშმის მზადებას შეუდგნენ. გაშალონ სუფრა. (გადის. მოისმის ნაზი თარის ხმა, ზედ დაერთვის ტკბილი გრძნობით აღსავსე სიმღერა აღმოსავლეთის ხასიათისა. ამ სიმღერის დროს მაკინეს სახეზე სიამოვნება და მედიდურობა გამოიხატება)

„შენ აზრუმის ცისკარი ხარ, გულნარა!
მანათობლად ამომხდარი, გულნარა!
შენ ვარდი ხარ, ედემს რგული გულნარა!
ბულბულისა დამდაგველი, გულნარა!“

(სიმღერის კათავებისას მოისმის ტაშის გრიალი. ეტყობა სტუმრები აშლილან. უკრავენ როიალზე ვალსს. მოისმის ოქროს ხმა:) „ვალს!“ (მაკინე შინ შედის.) შედიან აგრეთვე მარიკა და შაქრო. მოსამსახურენი სუფრას ამზადებენ. მოაქვთ დანა ჩანგალი)

4

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მიწის მგელივით, ახალი და ახალი დგება წინ... მომზადდა ზარბაზნით და თოფ-ტყვიის მფრქვეველებით შეტევა; ერთი მუქარაღაა მტრის საველე სანგრებამდის... გაისმა წვიმილების ყურის მომჭრელი სცენა. წამს შესდგა სროლა, შესდგა სულის სუნთქვა!..

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ომახიანად შემოგვძახა უფროსმა, იშიშვლა ხმ ლი და ეტია...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. გულით გამალებულებმა უპასუხ თ მეომართ, თოფები მარჯვენა ხელში გავისაშუალეთ და ვეტივენით ჩვენც.. ზარბაზნებმა დიდიხანია ჩაჩუმეს მტრის ბატარეიები და ქვეითა ჯარზე გადატანილი ცეცხლიც ამ ჟამად მთლად შეაჩერეს...

ხმა გამარჯვებისა, კვნესა, ოხვრა, იარაღთა ელარუნი, მომაკვდავთა ხრიალი, სისხლის ჩხრიალი ერთმანეთში აირივ-დაირია და დაუნდობელი ხელჩართული ხიშტით ბრძოლა გაიმართა... ღმუილი, შემზარავი, არა ადამიანური ხმით, გაუგებარი გუგუნი გამეფდა თვალუწვდენელ მთა გორაკებზე... ბოროტების ღმერთმა დაიდგა აქ ტახტი...

—

ღამეა სუსხიანი, მაგრამ მყუდრო. მშვიდი, ვით არე-მარე ქარიშხალის გადაქროლის შემდეგ. მთვარე მედიდურად ამოიმართა ცის კიდურზე. მიმოავლო ადამიანის ნამოქმედარს თვალი და სქელი ღრუბლებით პირი მოიბურა... ჩამობნელდა.. სუსხმა იკლო. შავი სიკვდილის დღესასწაულის შედეგი მეტად გულსაკლავი სანახაოა: ჭერახივით ყრია დასახიჩრებული მკვდრები; თოფს, ზარბაზანს, ცხენს, ხმალს და ხიშტს მოუფენია ადამიანებით ან მათის დაგლეჯილის ასოებით არემარე; აქვე არიან მომაკვდავნი, რომელნიც სიმწარით მიწას ჰფხაჭნიან, გველივით იკლაკნებიან და ღმუიან, რაღაც შესაზარ ღმუილით; ვინ იცის რას არ გაგრძნობინებთ ეს საშინელი ღმუილი... გულწასულნი, ღონე-მიხდილნი, რომელთაც სავატობა არა აქვთ ფეხზე ადგნენ და წავიდნენ ჭრილობის შესახვევ ადგილზე მკვდრებ შუა ან მათ ქვეშ მოყოლილნი რჩებიან... სიცივე, დაღლილობის შესუსტება, ჭრილობების ტკივილები ამათთანებს წამს გონზე მოიყვანს, წამს იმედის ღიმილს მოჰგვრის სახეზე, მაგრამ საჩქარო შველაა მათთვის საჭირო, მშველელნი შორს არიან და ესენიც კვლავ ბურანს მიეცემიან, რომ საუკუნოდ ვეღარ აახილონ თვალები... ბევრნი ფოფხავენ, გასავალს ეძებენ, მისუსტებულის ხმით ვიღასაც მოუწოდებენ, მაგრამ მათი ხმა იქვე კვდება უშედეგოდ.

ამოსისინდა განთიადის ცივი ნიაკი. აიტაცა ადამიანთა თბილი სისხლის ოშხივარი და შორს მთა და ველს მოსდო იგი... მოისმა ნადირთა შემაძრწუნებელი ყმუილი. მძოვრის სუნს მოუზიდნია ისინი... მაგრამ განა მარტო მძოვრს გაჰკრავენ კბილს!..

გათენებამ მოატანა, მტრედის ფრად ინათა. ყინვამ უმატა. ვიღაცამ გულსაკლავად ამოიგმინა. შემდეგ მკაფიოდ მომესმა:

— ღმერთმა და მამიჩემის სალოცავმა ჰკითხოს ჩემი დაღუპვისათვის... ვაჰმე! ოჯახო დაღუპულო!..

— უფალმა მოგთხოვოსთ მაგიერი ჩემს ამ დღეში ჩაგდებისთვის... ვაჰ, ცოლშვილო, დაობლებულო!.. სუსტად გაისმა იქვე მვორეს ამოკვნესა.

— ძმობილო, რომელი ხარ მანდ, ღვთის გულისთვის მიშველე ვკვდები...

— მეც, ძმაო, მეც სიკვდილის კარზე ვარ მიმდგარი!.. როგორც რჯულს არა ელალატება რა, ისე შენ შველას, მაგრამ უწყის უფალმა... ვეღარ შესძლო გაგრძელება, გაყუჩდა.

— ხმა გამეც, შენსკენ მოვხოხამ, ძმო-

ბილო!.. ამ გაყინულ მკვდრებ შორის გული ცუდათ მელევის!..

— აი, აქ ვარ... შენს ახლო! მოდი, მოიახლოვდი იქნებ როგორმე.. ვაჰმე, არა მგონი კი!..

— ოხ, ნეტავი კი ეგრე!.. ვაჰმე რომ რაღაცნაირად თვალები მებლანდება..

მიხოხდნენ ერთმანეთთან. ჩაეხვევინენ ძმებსავით... წამს სითბო იგრძნეს... თავდამტრიალე სიკვდილის ლანდი თავიდან მოშორდათ... გადარჩენის იმედმა სახე მოუმხიარულათ ორთავეს და როცა ამ დროს გამოშუქებულმა მთვარემ მათი სახეების დანახვის საშუალება მომცა, ამას იტყოდით ორი მოსიყვარულე ძმა დიდხნის უნახაობის შემდეგ ერთმანეთს ელამუნებიან—ესიყვარულებიანო...

— ვკვდები!—რამოდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გაისმა ერთის ხმა.

— ვაჰმე უბედურს, მეც ამიტანა კანკალმა... ვერ გადურჩები ამ ტიალა დილას!..

— ნეტა იმდენს შესძლებდე, მიმაბრუნებდე... ჩემს სალოცავისკენ მიყავ თავი... ძმაო, მშვიდობით... დამკოცნე... მიშველე... დამეხმარე!..

— გიშველი, თუ ღა ძალა შემეწევა მეც!.. ეჰ, ტიალო ჩემო თავო!

დაჰკოცნეს ერთმანეთი. კვნესით და ქშენით მოეხვევინენ ერთმანეთს მომაკვდავნი. შეეცადენ წამოწევას, მაგრამ ორთავეს წამები დათვლილი ჰქონდათ და ამ ცდულებამ უფრო მოუსწრაფა.. გადახვეულნი გადაიქცენ... ტკივილებმა საშინელი გმინვა ამოჰხადა ორთავეს! მერე მათი ხმა აღარ შემომსმენია...

—

დილით, როდესაც საელე ჟანდარმა ჩამოიარა, რომ შაემოწმებინა მკვდრები, ზაქრა ხანდოველი ალი ზულაძეს გაყინულ მო-

ხვევნისაგან გაანთავისუფლა... ალის ფეხი ჰკრა და იქით გადააგორა, გიორგის კი თავი აღმოსავლეთისკენ უყო, გულხელი კი ვეღარ დაუკრიფა და ამით დასასაფლავებლად მოამზადა.

მე კი გადავრჩი, ჩემო კოფი, იმ დაწყევლილ ადგილს და ღამეს... და, აი, საყავარჯნეთ გამიხდა საქმე. სასიხარულოა თუ სატირელი ასეთი გადარჩენა—ისიც არ ვიცი...

ლ—

ს ი მ ღ ე რ ა

(ხალხურ კილოზე)

ძერავ, ძერავ, შე წყეულო,
რად არ იღებ ჩვენგან ხელსო,—
კრუხ-წიწილი შენის შიშით
ველარ გადის მწვანე ველსო...

—

აქშა, ძერავ, შე ვერანავ:
ნუ იტაცებ წიწილებსო,—
თორემ ბუდე გაცივდება,
პატრონს არას უწილებსო...

იაგო ტეტუნაშვილი

ჩემი ქვეყანა

ქმუნვას მოუცავს ქვეყანა ჩემი,
ქვეყანა ჩემი სისხლით მორწყულა,—
არავინ არის ნუგეშის მცემი,
ჩემი ქვეყანა დადუმებულა!

—

მითხარით ვინმემ: ამ თეთრ ღამეში
ცაზე ვარსკვლავნი რისთვის ჰქრებიან,—
ჩემი არწივნი სულ სხვა მხარეში,
მითხარით, რისთვის იდუპებიან?!.

ნ. ზენობნიელი

ძველებური ჩაცმულობა *)

ცოტა ვიცით ძველებურ ჩაცმულობაზე და ეს უცოდინარობა საკმაოდ აფერხებს ჩვენს თეატრალურს საქმეს.

ხოლო როდესაც ახლო მომავალში ქართული თეატრი უფრო აღორძინდება, ძველის ცხოვრების გამომსახველი ისტორიული დრამები, ტრაგედიები და ოპერები დაიდგმება, მაშინ უფრო ძნელ მდგომარეობაში ჩავარდება თეატრალური საქმე, თუ დროზე არ შევაგროვეთ ცნობები ძველ ქართულ ჩაცმულობაზე.

საუკეთესო წყაროს ამ საგნებზე გვაძლევენ დღეს ქართულ მონასტერთა კედლები, სადაც გამოსახულნი არიან ეკლესიის მაშენებელნი და იმ დროინდელნი პირნი, იმ დროინდულად ჩაცმულები.

სამწუხაროდ ეს ნახატები იშლებიან დროთა სიგრძისაგან, უხამს პირებისა და სხვა მიზეზებისგან: ის ნახატნი, რომელიც ამ 20—25 წლის წინად ცხადად ჩანდნენ, ეხლა ან სრულიად წაშლილია, საუკუნოთ დაღუპული, ანუ ძლივს შეინიშნება.

უმწვერვალესად საჭიროა, ეხლავე შესდგეს საქმიანი წრე ქართულ კულტურის მოყვარულთა რაინდებისაგან, რომელმაც უნდა ითავოს გადარჩენილ ნაშთების გადმოხატვა, ფოტოგრაფიულად გადმოღება და ამისათვის საშუალების გამოძებნა.

აქ მაგალითად რამდენსამე ნახატს დავასახელებ:

ხობის მონასტერში (სამეგრელოში) დასავლეთის კუთხისკენ, დაბლა, ამ ოცის წლის წინად შევნიშნე მკრთალი გამოსახულობა ორიგინალურ ჩაცმულობით შერგილ დადიანისა, თამარ მეფის გმირისა, მისის ცოლის ნათელასი და მათი შვილისა ყრმისა ცოტნესი, შემდეგ განთქმულის ისტორიულის პირისა. კარგად გადაღებული პირი ამ გამოხატულებათა ბევრს შესძენს ჩვენს ცოდნას ძველ ქართულ ჩაცმულობაზე. ამავე ეკლესიაში სხვა ნახატებიც იპოვება ქართულად ჩაცმულ პირებისა.

წალენჯიხის ეკლესიის ეკვდერში დახატულია მთელი გროვა დადიანთა ოჯახობისა, უმეტესად ქალებისა მე-XIV—XVI-ე საუკუნეებისა, დაზიანებულად და მკრალად, მაგრამ ისტატი გაარჩევს, რომ მათი ჩაცმულობა მეტად ორიგინალურია, ლამაზი და თავისებური. ახალგაზრდა ქალებს თავზე ახურავთ მაღალი, წვეტიანი და თოვლივით თეთრი „შლაპები", ფართე კალთებით (ПОЛЯ) ქვემოთკენ. იქვე დახატული მე-XVII-ე საუკუნის ლევან დადიანი და იმისი ცოლი ნესტან დარეჯანი, ცოცხალი ფერადებით. იმავე ეკლესიის სხვა ეკვდრებში სხვა ნახატებიც იპოვება ძველ ქართველ ჩაცმულობით; ასეთივე ნახატებია ეკლესიის შიგნით კედლებზეც.

შემოქმედის ეკლესიაში შენახულია გურიელების სურათები, მარტვილის ეკლესიაში—დადიანებისა და უცნობ პირებისა.

ს. სეფიეთში (სამეგრელოში) ერთ კედელზე დახატულია გლეხი ოჩიგავა, ორიგინალურ ჩაცმულობით (XVI—XVП საუკ.), მეორე კედელზე—თოფურია (ეხლა აზნაურია).

იმერეთის ვანის ეკლესიაში შენახულია დაზიანებული სურათები ძველის თავადებისა (ჩიჯავაძეებისა) ვაჟებისა და ქალებისაც. იქვე ახლო-მახლო სოფლების ეკლესიებში იპოვება უბრალო კაცების სურათები ორიგინალურ ქართულ ჩაცმულობით.

ნიკორწმიდის და გელათის ტაძრებში კარგად შენახული სურათები იპოვება მეფეებისა (დავით აღმაშენებლის, ბაგრატ მეხუთისა, ერისთავებისა და იმათის ცოლებისა.

რაჭაში, სოფელ კრიხს ამ ათიოდე წლის წინად შევნიშნე ტაძრის შიგნითა კედელზე ძალიან ცხადი ფერადებიანი გამოსახულება ორის სამხედრო პირისა, რომელზედაც წარწერილია: „ესე არს გაჩიანი", მე-XШ-ე საუკუნის ჩაცმუ-

*) ავტორი ამ წერილისა, ჩვენი დამსახურებული მოღვაწე-ისტორიკოსი თ. ჟორდანია, როგორც მკითხველთ უწყიან, ჩვენის წარსულის დიდი მცოდნეა. გასულ კვირას ავადმყოფობის გამო რო ვნახეთ, ძველებურ ქართულ ჩაცმულობაზე კარგა ხანს გვესაუბრა. ჩვენ ვსთხოვეთ უკვე ნალაპარაკევი დაეწერნა ანუ ვისთვისმე დაეწერინებინა. პატივცემულმა ისტორიკოს-მკვლევარმა, თუმცა მხედველობა დაზიანებულია, ჩვენი თხოვნა შეასრულა და ეს საყურადღებო წერილი დაგვიწერა. სასურველია, ჩვენი წარსულისა და ხელოვნების მოყვარულთ ამ წერილს ბეჯითი ყურადღება მიაქციონ და მასში გამოთქმული სურვილიც საქმედ აქციონ.

რედ.

ლობით, დიდად საინტერესოთი. ვაჩიანები ალბად ამშენებელნი არიან იმ პატარა, მაგრამ მეტად ხელოვნურად აგებულ ტაძრისა, ჩუქურთმებით. რუსთველისგან ნახსენები სამხროები დიდ მოხელეებისა აქ ცხადად გამოსახულია ოქროს ძეწკვებითა. ძველ რაჭველების ჩაცმულობის ეს საუკეთესო ნიმუშია.

სორის ტაძრის ერთ კედელზე მეტად თავისებურად ჩაცმული საშუალო წოდების ანუ გლეხი, ვინმე ჭარალელი (რამდენათ მახსოვს წარწერილობისაგან) არის დახატული.

სვანეთსა და ლეჩხუმშიც იპოვება აქა-იქ ნახატები ძველის ჩვენის მამა-პაპებისა. აგრეთვე მესხეთის ტაძრებში (ათაბაგების ოჯახებისა) და ქართლ-კახეთის ტაძრებშიაც.

ყველა ამას შემოკრება უნდა დროზე, სანამ სურათები სრულიად არ წაიშლებიან და ქართველებს საუკუნოდ არ დაგვეკარგება, თორემ მერე მილიარდებიც რო დავყაროთ, დაკარგულს ვერ დავიბრუნებთ.

ჭეშმარიტად დიდ სახელს მოიხვეჭავს ის პატარა წრე კულტურის მოყვარე ქართველებისა, რომელიც თავის შრომით და სახსრით გადაარჩენს ნატამალს მაინც ჩვენის ძველის კულტურისას სრულიად დაღუპვას. ბევრჯელ დამიწერია ამ საგანზე ჩვენს გამოცემებში; ცოტაოდენი ყურადღება მარტო საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიაქცია, თუმცა ჯერ მეტად სუსტ ნაბიჯით მიდის ამ მიზნისკენ. საჭიროა ცალკე თავგამოდებული წრე, ხოლო სახსარს ჩვენი აწ გამოღვიძებული საზოგადოება, იმედია, არ დააკლებს. შეგროვილი სურათები ხომ მაინც ჩვენს ერთ-ერთ დაწესებულებას, მაგ. მუზეუმს, დაამშვენებს.

ნათქვამს დავუმატებ, რომ კერძო ოჯახებშიც იპოვება ძველებურად ჩაცმულ პირების ნახატები.

ქართლში დავით სულხანიშვილის სახლში მინახავს თუშების, მთიულების, ფშაველების და კავკასიის სხვა ეროვნების გამოსახულება. იქვე მინახავს ინგლისელებისაგან გადაღებული სურათი ჩვენის უკანასკნელის მემატიანის ნიკოლოზ დადიანისა († 1834 წ.) ეროვნულ ჩაცმულობითა. იქვეა ქალ-ვაჟთა სურათები, ჩერქეზულ ჩაცმულობით.

ქუთაისში ბალახვანის ქუჩაზე ერთ სახლში ჩინებულად გამოსახულნი არიან ფერადებით იმერლები, მეგრელ-გურულები მაშინდელ ეროვნულ ჩაცმულობით.

ამისთანების შეგროვება დღეს პირველ საჭიროებას შეადგენს ქართველ კულტუროსან კაცისას.

თ. ჟორდანია

„ს ხ ი ვ ი“

ლიტერატურული-სამხატვრო კრებული

ჩვენი ცხოვრების აურიცხველ ნაკლთა შორის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუმცა მწერლობა გვაქვს, მწერლებიც გვყვანან, მაგრამ მაინც არა გვაქვს სერიოზული ჟურნალი, ალმანახები, სალიტერატურო-სამხატვრო კრებულები.

მათი საჭიროება და გამრავლება ჩვენში მეტის-მეტად აუცილებელია, რადგან ჩვენთა მწერალთა ნაწარმოებნი გამოცემული არა გვაქვს და რაიცა არ შეეფერება მათს ღირსებას, ხურდავდება უბრალო ფელეტონებად ყოველ დღიურ გაზეთებში. ვ. ბარნოვის მშვენიერი მოთხრობა-რომანი, ანუ სანდრო შანშიაშვილის მგზნებარე შაირი ხშირად გვინახავს ყოველ დღიურ გაზეთებში ქუჩურ პუბლიცისტიკის გვერდით. მაგრამ ამ ომიანობაში კიდევ, ჩვენმა გაზეთებმა სულ უარი გამოუცხადეს სიტყვა-კაზმულ მწერლობას და მწერლის ასპარეზად დარჩა მხოლოდ წიგნა, ყოველ კვირეული სურათებიანი დამატება...

რას ვაკეთებთ ამ ნაკლის ასაცილებლად და რას მოქმედობს სიტყ.-კაზმ. მწერლობის საზოგადოება?.. გამოსცა „გრდემლი“ს ორი წიგნი, მოგვევლინა მირაჟივით, შემდეგ, ვით მოჩვენება, გაჰქრა ყოველი მისი მოქმედება და ახლაც იგი მკვდრეთის ჭაერით არის შეხუთული.

სასიხარულო მოვლენა იყო „სახალხო ფურცლის“ პრემიები, წრეულს კი ესეც მოისპო.

ორი წლიწადია „ახალ მოამბეზე“ დაპარაკობენ, ალბად მისი გამოცემაც მიუწვდომელ საქმედ დაისახეს *).

გვაქვს ორი ჟურნალი...

ერთი სკოლისაა ყოველ თვიური „განათლება“, მეორე თეატრისა — ყოველ კვირეული „თე-

*) რამოდენადაც შეტყობილი გვაქვს, „ახ. მოამ.“ რედაქციამ საჭირო ქაღალდი ვერ იშოვა და ამიტომ გამოცემა ვერ მოუხერხებია. რედ.

ატრი და ცხოვრება“. ესენი თავიანთ საქმესაც ვერ ასდიან, მაგრამ სიტყვა-კაზმულ მწერლობასაც უთმობენ ადგილს. *)

და აი, ამ საერთო კრიზისის დროს, სიცოცხლე ისევ ქუთაისში იგზნება. საერთოდ რომ ვსთქვათ, იქ უფრო მუშაობენ და ლიტერატურის ძალებიც იქ უფრო კარგად იჭიმება... ამ რაღაც ერთ თვეში შემოგვიძღვნეს: „სხივი“, „ცისფერი ყანწები“ და „ახალი ცისკარი“.

სამხატ.-სალიტ. კრებული „სხივი“, გაზეთ „შრომის“ თანამშრომელთა გამოცემა, გარეგნობით მკითხველზე არასასურველ შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი კანტორის დავთარს უფრო მოგვაგონებს ვიდრე სამხატვრო სალიტ. კრებულს.

ასეა ჩვენში გემოვნება არც ცხოვრებაში და არც სხვა სფეროში...

სამაგიეროდ შინაარსით საყურადღებოა...

პირველი მწერალი, რომელიც გვხვდება „სხივის“ ფურცლებზე, არის მიხ. ბოჭორიშვილი.

ამ ახალგაზდამ უკვე მიიქცია საერთო ყურადღება. მისი ნაწარმოები თავისი მჭრელი სახით განირჩევა თანამედროვე მწერლობაში. კილოც სულ სხვა იერიანი და მშვენიერი აქვს. თვითეული სტრიქონი, დაცილებული შაბლონს, მოქსოვილია გრძნობათა ძაფებისაგან.

აქვს ერთი ნაკლი: დაშორებულია საქართველოს. მის სტრიქონებში ვერ ვამჩნევთ, რომ იგი „კოლხეთის ცის-ქვეშ იმყოფება. ალბად მას უფრო მოხიბლავს ევროპის ავადმყოფი ჰაერი და მისი დამჭკნარი ბუნება.

აქ კი, პატარა ეტიუდში „კოლხეთის ცის ქვეშ“ იგი ასცდენია ამ ნაკლს და შეუმოსია ეროვნულ ელფერით.

როგორც მხატვრული ნაწარმოები არ არის ღრმად განვითარებული, თითქოს აჩქარებითაა.

მეტად სხარტი და განცდილი სურათია მისი მეორე ეტიუდი „მწუხრიშვილის დღიურიდან“

აქ, ჩვენ, ჟურნალის ადაგი ნებას არ გვაძლევს ღრმად შევეხოთ საკანს და ვიტყვით კი: ბოჭორიშვილი ფრიად საინტერესო მწერალია „ახალთა“ შორის, და რომ დატრიალდეს, ღრმა კვალს დაამჩნევს ჩვენს ლიტერატურაში.

ასევე იმედებს იძლევიან: ნ. მიწიშვილი და გ. მუმლაძე.

საყურადღებო კია, რომ ამ სამს ზემოხსენებულს მწერალს, მსხვილი რამე არ მოუციათ ჩვენთვის... ნუ თუ ამით უნდა დაგვაკმაყოფილონ? დროა, ჩადგნენ კალაპოტში და ღირსების დროშა დაიჭირონ, ნუ უღალატებენ მას ბოლომდის...

ჩვეულებრივია ის ეკალაძის მოთხრობა და ფრიად საყურადღებო: მისი წაკითხვა სიამოვნებით აღავსებს მკითხველს.

ბელეტრისტების გვერდით სჩანან პოეტები: გალ. ტაბიძე და ვ. რუხაძე. უკანასკნელის ლექსი პოეზიის მხრივ მის წინანდელ ლექსებზე მოისუსტებს. ბოლოს ჩართული სიტყვა „ვევგირი“ ხომ სულ მთლად შეუფერებელია. მთელი შინაარსი და იდეა ლექსისა არის: მიხედეთ სოფელს წამებულს!.. ეს კი უფრო პუბლიცისტიკაა. სამაგიეროდ წაიკითხეთ რა პოეზიის საბურველშია გახვეული გალაკტიონ ტაბიძის ლექსები „მთვარის ლანდები“!! თვითეული სტრიქონი ამ ლექსისა პოეზიაა და განხორციელება მშვენიერებისა. აქ თვითეულ სიტყვის სიძლიერეს და სინაზეს გრძნობთ, აქ თავისუფლად ამოისუნთქებთ რადგან, შორსა ხართ „პუბლიცისტურ პოეზიისაგან“.

თუმცა დიდ ნაკლსაც არ წარმოადგენს, მაგრამ სჯობდა არ ეხმარა მგოსანს ლექსში ისეთი სიტყვები, როგორიც მაგალითად „პაჟი“, „პრინცესა“, „სილუეტები“ და სხ. ჩვენი ენა მეტად მდიდარია და მრავალ შინაარსიანი და როდესაც მგოსანი ვერ იყენებს სიტყვებს მშობლიურ ენისას, მაშინ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს ასეთი „ევროპიზმები“; თუმცა იგინი ლიტერატურაში მიღებულია, მაგრამ ქართველს უფრო ეხოთირება, რადგან რუსთაველის ცეცხლოვან სიტყვებთან აჭრელებულის სიტყვების ხმარება და შემოღება ცოდვად ჩაითვლება...

აქვე ვხედავთ ლეო ა. შენგელიას ლიტერატურულ შენიშვნებს: I ლიტერატ. კრიტიკა და მისი დანიშნულება, II „სინათლე“ როგორც ფსიხოლოგიური ნაწარმოები, III „ქალი გრძნეული“ და IV მგოსანი მოქალაქე თანამედროვე ჩვენს პოეზიაში“. კრიტიკ შენიშვნები შენგელაიასი ფრიად საყურადღებოა, მით უმეტეს, როდესაც

---

*) არის ორ-კვირეული ჟურნალიც „ცხოვრება“ (ქუთაისში გამოდის). რედ.

დღეს, ჩვენის კრიტიკის ტრიბუნიდან (აკაკი პაპავას გარდა) აღარ ისმის ძლიერი ხმები. დაკვირვებით აქვს აწონილ-დაწონილი პიესა „სინათლე“, როგორც ფსიხოლოგიური ნაწარმოები, საყურადღებოა „ქალი გრძნეულის“ კრიტიკა.

საყურადღებოა გიგოს „სიმბოლიზმი“ ოღონდ მკაფიოდ და ნათლად ვერ არის გამოთქმული. „სიმბოლიზმი“, რომელიც ჯერ კიდევ უცხო ხილია ქართველ საზოგადოებისათვის, უფრო საყურადღებოა და შეეძლო ავტორს უფრო ბევრიც ეთქვა.

კრებული თავდება გიგა ჯულელის (სვირსკანდელი,,-სერაძე, ლერა) ნაწერებით: I ორიოდე სიტყვა თანამედროვე ქართ. მწერ. II, ფოტოგრაფი (ნაწყვეტი) III მოგონებანი (ნაწყვეტი). ვერ შეგვიძლია ამ მცირე ნაწყვეტებიდან აღვადგინოთ მეხსიერებაში ლიტერატურული სახე გიგა ჯულელისა...

კრებული შეიცავს 173 დიდი ფარმატის გვერდს და ღირს 1 მან. ამ ქაღალდის სიძვირეში შედარებით იაფია.

ქ. ყაზანი. **სიკო ლეონიძე**

ახალი მოდის რეჟისორი

(სადღაც მომხდარი ამბავი)

(შარჟი)

რეჟისორი მიმართავს სცენის მოყვარეს:

— კაცო, გამგეობის წევრებმა დამავალეს, ისეთი პიესები დასდგი, რო ხარჯი არ მოგვივიდესო. და, აბა, რომელი პიესა ავარჩიო: „ორ მშიერს“ ტეხნიკურად ვერ მოვაწყობ, „ტიმოთეს ლღლვის“ მასიური სცენები მეძნელება, მაგრამ... მოიცა, მოიცა, „ოტელო“... კაცო, „ოტელოს“ დავდგამ: საადვილოცა და უხარჯოც. ეხლავე როლებს გავანაწილებ: გაიოზს მე ვითამაშებ, ანიკოს—კატია...

— კაცო, „ოტელოში“ გაიოზსა და ანიკოს რა უნდა?

— ეგ შენი საქმე არ არის! აქ მე ვარ რეჟისორი და არა შენ: შენ ჩემზე კარგათ იცი პიესები?!

— თუ არ ვიცი, აბა რას მეკითხები!?

— გაჩუმდი შენი......

. . . .

— ეს ყველა-ყველა, მაგრამ ოტელო ვინ ვათამაშო?

(ამ დროს შენიშნავს ქუჩაში მიმავალ ახალგაზდა ბიჭს!.).

— ეი... ძმობილო, მოდი აქ.

— რა გინდა, შენი ჭირიმე?

— რა გვარი ხარ?

— მენახირაძე გახლავარ, შენი ჭირიმე!

— კვირას შენ ითამაშებ ოტელოს. აი, როგორია ოტელო: დაბალი, გამხდარი, ძალზე თეთრი და ლამაზი ყმაწვილი კაცი... აცვია იმერული ჩოხა.

— არა შენი ჭირიმე, ე თამაში ჩემ დღეში არ გამიგონია და თუმცა ი ვერანა ბუღამა გუშინ ნახირში ფეხი დამადგა და ცერი მიღრძო, მაგრამა დავლურს უფრო მოვახერხებ, შენი ჭირიმე და ვითამაშებ.

— დავლური და ლეკური კი არა, ოტელო უნდა ითამაშო, ოტელო, შე ნადირო!

— არა შენი ჭირიმე, არ შემიძლია.

— დაიკარგე აქედან! აბა, თქვენისთანა გაუგებარ ხალხში რა უნდა გააკეთოს კაცმა.. თქვენ კი, ბ ნო გაგებულო სცენის მოყვარევ, შეგიძლიანთ მიბრძანდეთ სახლში: მე კვირას არაფერს ვდგამ.—ეტყვის და გაწიწმატებული წავა სახლში ჩვენი ახალ მოდის რეჟისორი.

ალი-ძამია

წვრილი ამბები

ქ. გორში ორშაბათს, 11 აპრილს, ვასო აბაშიძისა და ვიქ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმ. იქნ. კომ „ეხლანდელი სიყვარული“ და ვოდ. „დათვი“,

ისტორიკოს თ. ჟორდანიას მარცხენა თვალის მხედველობა დააკლდა და გასულ კვირას თბილისს ჩამოვიდა სამკურნალოდ.

ქართულ ხელოვანთა საზოგადო კრება გაიმართება 11 აპრ. სამეურნეო ბანკში.

ქართული კონცერტები გაიმართება: 1) მ. კავსაძის მომღერალ-მგალობელთა 11 აპრ. „ახ. კლ.“ დარბაზში; 2) ი. გოძიაშვილისა—17 აპრ, „სახსახლში“.

ჩვენს ხელის მომწერთ ამ ნომერთან ერთან ეგზავნებათ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აღმშენებელ კომისიის მოწოდება-განცხადებანი. იმედია, ჩვენი პატივცემული ხელის მომწერ-მკითხველნი ყურადღებით მოეპყრობიან ხსენებულ განცხადებას, თვით შეეწევიან და გაავრცელებენ—კიდეც.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ახალი ბანკი

კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს

რომ თანახმად ბანკის დამფუძნებელთა და აქციონერთა დადგენილებისა, ყველა აქციონერი, (ვისაც შემოტანილი აქვს პირველი გადასახადი აქციის 0 პროცენტი ე. ი. თითო აქციაზე 25 მანეთი)

ვალდებულია შემოიტანოს მეორე ხვედრი გადასახადი აქციის 40 პროცენტი ე. ი. თითო აქციაზე 100 (ასი) მანეთი ამა მიმდინარე წლის 10—20 მაისამდის.

ხელის მოწერა და ფულის შემოტანა მოწყობილი იქნება იმავე წესით და იმავ ადგილებში, როგორც პირველი ხვედრი ფულის შემოტანის დროს იყო. ოც მაისის შემდეგ ფულების მიღება შეწყდება. დაწვრილებითი ცნობები ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბანკის მთავარი საორგანიზაციო
კომიტეტი

მისამართი: ტფილისი, სასახლის ქუჩა სარაჯიშვილის სახლი № 6ს აურთიერთო სამეურნეო ბანკის სადგომში.

ავლაბარ. თეატრი „პალასი“

საგაზაფხულო სეზონი
წარმოდგენა № 3.

სამშაბათს, 12 აპრილს, ავლაბრ. ქართ. სახ. წარმ. მმართვ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

ა. წერეთლის 5 მოქ. დრამა,

პატარა კახი

დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზე. ადგილების ფასი 30 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-მდე. რადგანაც ზოგიერთნი მოტყუებით ხელზე ჰყიდიან ბილეთებს, ამიტომ პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი წარმოდგენის ბილეთები გაიყიდება მხოლოდ თეატრის კასაში. ანონსი: 16 აპრ. „დიდი მოურავი“. რეჟ. ი. ივანიძე. მორ. გამგე ა. ბოლღაშვილი.

„ახალი კლუბი"

ერთი კვირის პროგრამა 27 მარტ.—მაპრ.

ორშაბათი—დილით: მ. კავსაძის გუნდის კონცერტი; საღ. სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკ.

სამშაბათი—სარჯ. ხო სადამო. ორკესტრი

ოთხშაბათი—სინემატოგრაფი, სიმებ ანიორ.

ხუთშაბ—ქართული წარმოდგენა (ეფასოდ);

პაპ კ. სინემატოგრაფი. ორკესტრი.

შაბათი—კლუბის ორკესტრის ლოტბარის ი. შენამედის ბენეფისი. დაწვრილებ თ. ოფეშ.

კვირა—დილით გრ. ამატლობელის ლექცია, საღ მოთე ორკესტრი.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენ. სა და სინ. მატოგრ. საღ. 8 ს.

შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მენდილოს ნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მ. ბალკონი 1—05 კ.

ახალი კლუბი

დილით აღდგომის ორშაბათს 11 აპრილს

2 შეერთებული გუნდი

Მ. ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲘᲡ ᲚᲝᲢᲑᲐᲠᲝᲑᲘᲗ

გამართავს

ᲓᲘᲓ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ

ძმათა ძავ. აფეების (ტიო) თ. ლუარსაბ ჯანლიერის (სოლო-ურმული), იოსებ სალირაშვილის (თარი), ვანო უსტუაშვილის (ფანდური), გიგო ბიეანიშვილის, გიორგი ბერიაშვილის, ვასო ჩეკურიშვილის, ვანო დადანაშვილი და სხვათა მონაწილეობით.

ბილეთების ფასი 1 მ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 ს. საღ. 6—8 ს. ღამის 12 საათზე. მორიგი წევრნი გამგეობისა: ი. ქარსელაძე, გ. პეტრიაშვილი და ი. დემეტრაშვილი.

ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ორშაბათს, 11 აპრილს 1916 წ.

ნაძალადევის სტენის მოყვარეთა მიერ წარმ. იქნება:

ᲠᲐᲡᲪ ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲜᲐᲮᲐᲕ

ა. ცაგარლის ცხრაბალი კომედია

მონაწილეობენ: ქ-ნი: ბეჟანიშვილი, ს. გოგაშვილისა, ქ. კამკამიძე; ბ-ნ-ები: ბ. ბელოგვრაშვილი, გაბინაშვილი, კუდუხაშვილი, სვანიძე, ს. გოგაშვილი, ძ. ძამია, ლადოშვილი, კაკუტაძე, შავიშვილი და სხ.

ადგილების ფასი: 20—10 კ. დასაწყ. საღ. 8 ს. მორ. გამგე ქობულაშვილი რეჟ ს. გოგაშვილი.

ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠ-„ᲞᲐᲚᲐᲡᲘ"

აღდგომის ორშაბათს, 11 აპრილს

სტენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართ. სტენაზე ცნობ. ოპერეტა

„ᲐᲠᲨᲘᲜ ᲛᲐᲚ-ᲐᲚᲐᲜ"

4 მოქ. უზერ ბეგ გაჯიმბეგოვისა, თარგ. ვანო გიგოშვილისა. საზანდარი მეთარე ალესკეროვის მონაწილეობით.

ბილეთები თეატრის კასაში იყიდება.

რეჟ ალესკეროვი. გამგე ვ. კოკოშვილი.

„ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ"

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ

ქ. თბილისში ოლღას ქუჩა № 6.

ეგზავნება აგენტებს: „თეატრი და ცხოვრება", „ოახ. ეზრა", „ეკ. მაორახი", „სქართველო", „Тифлисскій Листокъ", „Русское Слово", „ᲕᲐᲠᲐᲖᲘᲜᲘ", ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲓᲔᲑᲘ და სხ. ქართული წიგნები. ფულები რ წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ადრესით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96, С. Таварткиладзе.

სცენის მოყვარე მუშაკთა საყურადღებოდ:

И. Т Полумордвиновъ.

Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ,

разрѣш. къ представ. на сценѣ Кавк. Края. ц. Окнов.

Тифлисъ Цензурный Комитетъ

გამართულია ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲙᲘᲙᲜᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲘᲡ

პოემებისა და რჩეული ლექსების კრებულზე, რომელსაც დაერთვის სურათი, ბიოგრაფია და **დ. ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲘᲡ** გრიტიკული წერილი. ხელის მოწერა შეიძლება ჩვენს რედაქციაში.

Дозволено Военной Цензурой ᲡᲐᲛᲑᲐ „ᲝᲠᲝᲠᲐᲜᲘ"